ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №20

20 ნოემბერი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
12:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
5. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
6. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი;
7. დავით რურუა - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (12-0318319154-03, 15.11.2018).

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის სხდომა წარიმართა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სარევიზიო და გარემოს დაცვის კომისიებთან ერთად.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ირინე ხაჩიძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური;
- **ირმა არევაძე** - შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ფინანსური დირექტორი.

თ.ისაკაძე - გახსნა კომისიის სხდომა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

გ.თალაკვაძე - წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 871 631,5 ათას ლარით, რაც 2018 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 861 609,0 ათას ლარს, გაზრდილია 10 022,5 ათასი ლარით.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა 105 858,5 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება 173 797,7 ათასი ლარით; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 92 996,0 ათასი ლარით; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 5 897,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 20 648,1 ათასი ლარით; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 191 030,7 ათასი ლარით; განათლება 159 063,2 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 21 593,4 ათასი ლარით; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 3 608,8 ათასი ლარით; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 97 138,1 ათასი ლარით.

ყველას გაქვთ ბიუჯეტის პროექტი, მზად ვარ კითხვებს ვუპასუხო და განვავრცო თითოეული მუხლი და ქვეპროგრამა.

ი.ნადირაძე - მაქვს რამდენიმე შეკითხვა ტრანსპორტის მიმართულებით. მცირდება ქვეპროგრამის თითქმის ყველა მუხლი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვა. მაშინ, როცა აანონსებდით, რომ ცენტრალური ხელისუფლება გამოყოფდა თანხას, რათა ავტოპარკი სრულად განახლებულიყო, საინტერესოა იგეგმება თუ არა მომავალ წელს დამატებითი ავტობუსების შესყიდვა. რას აპირებს დედაქალაქის მთავრობა მეტროებთან დაკავშირებით, რომელიც თავზე გვენგრევა და საჭიროებს გადაუდებელ, სრულ რეაბილიტაციას. ასევე მაქვს შეკითხვა, ეზრდებათ თუ არა ხელფასები მეტროს მემანქანეებს, რიგით თანამშრომლებს ან სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულებს. რათქმაუნდა გვაქვს ბევრი შენიშვნა, რომელსაც 25 ნოემბრამდე წერილობით გადავუგზავნით თბილისის მერს.

გ.თალაკვაძე - პროექტი რომელსაც დღეს განვიხილავთ არის პირველადი, ველოდებით სპეციალურ ტრანსფერს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც დიდი ალბათობით ასახული იქნება ჩვენს მიერ საკრებულოში მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე გადმოგზავნილ ბიუჯეტის შესწორებულ პროექტში. მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საზოგადოების მოთხოვნები ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით, სპეციალური ტრანსფერი აუცილებლად გადანაწილდება პრიორიტეტების გათვალისწინებით, მათ შორის მეტროზე.

ავტობუსების შესყიდვაზე მიმდინარეობს მოკალაპარკებები, გარკვეული თანხა ამ მიმართულებით შესაძლოა აისახოს თბილისის 2018 წლის ბიუჯეტშიც.

სპეციალური ტრანსფერი დაგვეხმარება მომავალ წელს ტრანსპორტის მიმართულებით სერიოზული გეგმების განხორციელებაში.

თ.ისაკაძე - რათქმაუნდა ჩვენ გვაქვს რეკომენდაციები წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, რომელსაც წერილობით გადავუგზავნით ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების კომისიის რეკომენდაციები გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **თედო ისაკაძე**